პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР.

ოთხშაბათი
10 სექტემბერი
1941 წ.
№ 214 (6219)
ფასი 15 კაპ.

7258

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ქალთა ერთიან ანტიფაშისტურ ფრონტს!

გუშინ საღამოს მთელი მსოფლიოს ქალები ისმენდნენ ქალთა ანტიფაშისტურ მიტინგს, რომელიც მოსკოვში შესდგა. რადიო ეთერში ავრცელებდა უსაზღვრო სიმამაცით აღსავსე, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით და გამარჯვების ურყევი რწმენით გამსჭვალულ სიტყვებს, რომლებიც წარმოსთქვეს ვალენტინა გრიზოდუბოვამ, ვალერია ბარსოვამ, ოლგა სოკოლოვსკაიამ, ტატიანა ფედოროვამ, კლავდია ნიკოლაევამ, იბარურის მრისხანებით აღსავსე გამოსვლას და ანა პაუკერის მღელვარე სიტყვას. ყველა სიტყვა გამსჭვალული იყო ერთი გრძნობით, ერთი აზრით: გავანადგუროთ პირსისხლიანი ფაშიზმი!

მოსკოველი ფეიქარი და მსახიობი, გამყიდველი და მღარველი, ინჟინერი და მწერალი, ექიმი და იურისტი ქალები, ყველა ასაკისა და პროფესიის ქალები შეიკრიბნენ კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, გამოვიდნენ მის ტრიბუნაზე. და ძნელი გასარკვევი იყო, სად თავდებოდა ტრიბუნა და სად იწყებოდა მაყურებელთა დარბაზი, — იმდენად დიდი იყო ურთიერთგაგება, იმდენად ზუსტად გამოხატავდნენ ორატორები ფიქრებს და გრძნობებს, რომლებიც დარბაზში შეკრებილ ქალებს აღელვებდა.

სულ ახლახან ამ კაშკაში სინათლით გაჩირაღდნებულ დარბაზში მოწაფე ქალები დღესასწაულობდნენ სასწავლო წლის დამთავრებას, სულ ახლახან ნაძვის ხესთან ცეკვავდნენ ჩვენი ბავშვები. და აი, დაირღვა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი შრომა, მშვიდობიანი ცხოვრება. ჰიტლერიზმი, რომელიც მძიმე კოშმარივით დასწოლია მთელს ევროპას, რომელმაც ბავშვებს წაართვა მათი ბავშვობა, ახალგაზრდობას—სიცოცხლის ხალისი, მოხუცებს-მოსვენება, ქალებს — ოჯახი და მშვიდობიანი შრომა, მტაცებელი ძერასავით დაეცა თავს ჩვენს ქვეყანას. გუშინ სვეტებიანი დარბაზი კვლავ გაჩირაღდნებული იყო, მაგრამ ამჯერად შუქი ადგებოდა ქალთა მოღუშულ სახეებს, მრისხანებითა და სიძულვილით მოელვარე თვალებს, შეკუმშულ მუშტებს.

ჩვენმა თავისუფალმა, ბედნიერმა ქვეყანამ ასიათასობით ნიჭიერი, შრომისმოყვარე პატრიოტი ქალები აღზარდა. ეს არის მისი ოქროს ფონდი. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა ქალმა ფაშისტების წინააღმდეგ საშინელ სისხლისმღვრელ ბრძოლებში დაგვანახვა თავისი სიმამაცე, თავისი პატრიოტიზმი. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია არა მარტო საუცხოოდ დაიცვას კიდევაც თავისი სამშობლო. საბჭოთა სამშობლომ ბევრი რამ მისცა ქალს. გადაუშალა მას ცხოვრების ფართო გზა, მისცა დამშვიდებული დედობის ბედნიერება, თავისი შვილების მომავლის რწმენა.

მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის მძიმე დღეებში საბჭოთა ქალის ლოზუნგია „ყველაფერი სამშობლოსათვის!“ ამჟამად ქალის საზრუნავია ის, რომ მისცეს ფრონტს მეტი ჭურვი, მეტი სურსათ-სანოვაგე, მეტი ტანისამოსი. მისი ვალია მამაც მეომრად აღუზარდოს შვილი სამშობლოს. მისი ამოცანაა მთელი ძალღონე მოახმაროს გმირული წითელი არმიისათვის დახმარების გაწევას. ვალერია ბარსოვამ მიტინგზე განაცხადა:

— მე მომღერალი ვარ. მე მინდა ვუმღერო ჩემს მშობლიურ ხალხს. და მე ვუმღერებ მას! ხოლო თუ საჭირო იქნება, გამოვალ ჩემი ხალხის დასაცავად.

ვალერია ბარსოვასავით განიცდიან მილიონობით საბჭოთა ქალები. ეს დაამტკიცეს კიევის, ოდესის, ლენინგრადის გმირმა ქალებმა, რომელნიც იცავენ მშობლიურ ქალაქებს, უკრაინისა და ბელორუსიის ქალებმა, რომელნიც პარტიზანულ რაზმებში იბრძვიან.

ფაშიზმისადმი სიძულვილითა და ზიზღით იყო გამსჭვალული მიტინგზე გამოსულთა სიტყვები. აურაცხელია ჰიტლერის ბოროტმოქმედებანი. არასოდეს არ დაივიწყებს, არასოდეს არ აპატიებს მას კაცობრიობა მის მსხვერპლთა სისხლსა და ცრემლს.

— შურისძიება, ულმობელი, წმინდათა-წმინდა შურისძიება, — აი საითკენ მოგვიწოდებს ჩვენი ნაწამები დედისა და ბავშვების ხსოვნა! — ამბობდა მიტინგზე ვალენტინა გრიზოდუბოვა.

დაე იცოდეს აღვირახსნილმა ფაშისტმა მხეცმა, რომ მას ყველაფრისთვის სრულად გაუსწორებენ ანგარიშს. ყველაფრისთვის — დანგრეული ქალაქებისა და სოფლებისათვის, განადგურებული ბიბლიოთეკებისა და სკოლებისათვის, დამწვარი წიგნებისათვის, ქვრივ-ობოლთა ცრემლებისათვის, პატივაყრილ, ნამუსახდილ ქალთათვის.

მიტინგმა მოწოდებით მიმართა მთელი მსოფლიოს ქალებს — გააძლიერონ ანტიფაშისტური ბრძოლა, შეჰქმნან ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი.

„თვით ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი თავისუფლება,—ნათქვამია მიმართვაში, — საყვარელი შვილების, ძმების, საქმროებისა და ქმრების ბედი! ახლა ცრემლის ღვრის დრო არ არის. ჩვენს ხალხებსა და ჩვენს ოჯახებს მონობისა და სირცხვილისგან იხსნის მხოლოდ შეუპოვარი და სასტიკი ომი ფაშიზმთან მანამდე, სანამ საბოლოოდ არ გავიმარჯვებთ ჰიტლერელებზე.

წითელი არმია გმირულ ბრძოლას ეწევა მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ახლა საბჭოთა კავშირის ბრძოლის ველებზე წყდება მთელი მსოფლიოს მომავლის ბედი. სმოლენსკთან და დნეპრზე წარმოებულ ბრძოლებში წყდება ლონდონისა და პარიზის, ვარშავისა და როტერდამის ბედი“.

მოსკოვის ქალთა მოწოდება მიმართულია ოკუპირებული ქვეყნების ქალებისადმი: წინააღმდეგობა გაუწიეთ ჰიტლერის ბანდებს! შური იძიეთ! სისხლი სისხლისა წილ და სიკვდილი სიკვდილისა წილ!

მოწოდება მიმართულია ინგლისის ქალებისადმი: გახსოვდეთ, რომ საბჭოთა კავშირმა სერიოზული დახმარება გაუწია ინგლისს, როდესაც აღმოსავლეთში დაბანდა ჰიტლერის არმიის მთავარი ძალები. ჩვენ გვჯერა, რომ ამის პასუხად თქვენ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი დახმარება გაუწიოთ საბჭოთა ხალხს და მის გმირულ არმიას.

მოწოდება მიმართულია ამერიკის ქალებისადმი: ყოველგვარი საშუალებით დაეხმარეთ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს ჰიტლერიზმის წინააღმდეგ სამართლიან ომში!

მოწოდება მიმართულია აგრეთვე გერმანიის ქალებისადმი: ჩაებით ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, წინააღმდეგობა გაუწიეთ ფრონტზე ეშელონების გაგზავნას, ხელი შეუშალეთ სამხედრო წარმოებას!...

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წმინდათა-წმინდა, სამართლიანი საქმეა.

გუშინ მოსკოვის ქალები ლაპარაკობდნენ, და მათ უსმენდა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო:

— ჩვენ ვერ წაგვართმევს ჰიტლერი ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს სიხარულს!

— ურყევია ჩვენი გამარჯვების რწმენა, დაუშრეტელია ჩვენი ძალები!

— წყევლა-კრულვა თქვენ, ფაშისტო ჯალათებო! გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას!

— გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ქალთა ერთიან ანტიფაშისტურ ფრონტს!

„პრავდის“ მოწვინავე, 8/IX.

დავუმზადოთ თბილი ჯანსაცმელი წითელ არმიას!

ჩვენი არმიის ზურგი რკინისებურია

9 სექტემბერს, სასაუზმე შესვენებისას, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი მიტინგზე შეიკრიბა.

მიტინგის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივნის ამხ. ნ. ბაიდაშვილის ინფორმაცია ჩვენი გმირული წითელი არმიის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვების შესახებ.

სიტყვა აიღო საბარგო-საგაგონო საამქროს ცნობილმა სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ს. ბაბაევმა.

„წითელი მებრძოლები ზამთრისათვის ყველაფრით უნდა უზრუნველვყოთ, რათა მათ შეძულონ ვერაგი და მუხანათი მტერი. ჩვენ არ დავზოგავთ არაფერს, ყველაფრით დავეხმარებთ წითელ მეომრებს—სთქვა მან.

ტრიბუნაზეა ორდენსანი მექანიკი ამხ. მ. გეწაძე.

— ჩვენი წითელი არმიის სახელოვანი მებრძოლები ყველაფრით უზრუნველყოფილი არიან, მაგრამ საჭიროა მოვაწყოთ წითელი არმიის მებრძოლთათვის დამატებით თბილი ტანსაცმლის შეგრავება. ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს მოწინავე პატრიოტთა ამ შესანიშნავ ინიციატივას. დაე იცოდეს გათავხედებულმა მტერმა, რომ ჩვენი მშობლიური წითელი არმიის ზურგი რკინისებურია, რომ მუხანათ მტერს განადგურება არ ასცდება.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ინჟინერმა ამხ. მატინიანმა და ამწყობი საამქროს სტახანოველმა ამხ. ზუბიევმა.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„ქარხნის კოლექტივი ფიცსა სდებს მიმართავია უყოს მთელ თავის ძალებს, საშუალებებს, შესაძლებლობებს, რათა ყველაფრით უზრუნველჰყოს მშობლიური სახელოვანი წითელი არმია“.

მიტინგის მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს თბილისის ყველა მშრომელთ მოაწყონ წითელი არმიის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება.

ამზადებენ თბილ ჯანსაცმელს წითელი არმიისათვის

შესვენებისას, გუშინ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში შემდგარმა მიტინგმა გულდასმით მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. ლოლაძის ინფორმაცია ფრონტისათვის თბილი ნივთების შეგროვებისა და გაგზავნის შესახებ. ფაბრიკის მთელი კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინიციატივას.

სტახანოველმა მრთველმა, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ხ. მიქაბერიძემ თავის ამხანაგებს მოუწოდა არაფერი დაზოგონ იმისათვის, რომ თვითეული წითელარმიელი ყოველმხრივ უზრუნველყოფილ იქნას ზამთრის სუსხიან პირობებში საბრძოლველად, ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

ღრმა დედობრივი სიყვარულით აღსავსე სიტყვები წარმოსთქვა წითელარმიელის დედამ ამხ. ანა თაბაგარმა. მისი შვილი საზიზღარ მტერთან ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ მალე განიკურნა და კვლავ უბრუნდება ფრონტს. ანაც მზად არის ყოველმხრივ დაეხმაროს ფრონტს. მან იკისრა მოქსოვოს ორი წყვილი თბილი წინდები, სვიტერი, ყელსახვევი და გუგუნავნს გმირ მებრძოლებს. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ეკონომისტი ვ. ცაგურიშვილი, ოსტატი ი. ჯოხაძე და სხვ.

ფაბრიკის მუშებმა დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ უფლება მიეცეთ თავიანთი ფულით შეისყიდონ წარმოების ნარჩენები, რათა აქედან უსასყიდლოდ მოქსოვონ თბილი ნივთები წითელარმიელთათვის.

მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: საბჭოთა სახელმწიფო არაფერს იშურებს იმისათვის, რომ თვითეული მებრძოლი უზრუნველყოფილ იქნას თბილი ნივთებით. ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის რესურსები ულეველია, წითელი არმია ყველაფერს ღებულობს, რაც მისთვის აუცილებელია.—ჩვენ, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშებს, მუშა-ქალღჩსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს გვაქვს დიდი სურვილი მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ ფრონტის თბილ ნივთებით მომარაგების საქმეში, რათა ყოველ წითელარმიელს ჰქონდეს დამატებით წყვილი წინდები, ხელთათმნები, ტანსაცმელი და სხვ.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა მოწოდებით მიმართა თბილისის საწარმოების კოლექტივებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ წითელარმიელთათვის თბილი ნივთების შეგროვებაში.

თბილი ნივთები გმირ მებრძოლებს

საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის სახლში მოთავსებულ დაწესებულებათა თანამშრომლების მრავალრიცხოვანი მიტინგი, მიძღვნილი წითელი არმიისათვის თბილი ნივთების ორგანიზებულად შეგროვებისადმი, გახსნა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. სტურუამ. ინფორმაციით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბერიას რაიკომის მდივანი ამხ. ხანთაძე, რომელმაც განაცხადა, რომ თავდაცვის ფონდის შექმნა იყო საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმის ერთერთი შესანიშნავი გამოვლინება. ბერიას რაიონს 27.000 მუშა-მოსამსახურეს ყოველთვიურად შეაქვს თავდაცვის ფონდში 1-2-3 დღის ხელფასი, რაც სამ მილიონ მანეთს აღემატება. გარდა ამისა, მშრომელებმა შეიტანეს ოქრო, ვერცხლი, ობლიგაციები და ნაღდი ფული.

საბჭოთა პატრიოტიზმის ახალი გამოვლინებაა წითელარმიელთათვის თბილი ნივთების დამზადება, რაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა წამოიწყეს და რასაც ჩვენ ახლა ორგანიზებული ხასიათი უნდა მივცეთ.

სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. რუხაძე (საფეიერო მრეწველობის სახალხო კომისარი), ინ. გოგუაძე (მიწსახკომიდან), ჩხოლარია (ჯანსახკომიდან), როსტიაშვილი (სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი). ამხ. ბეჟანოვის წინადადებით მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს საბჭოთა მოქალაქეებს შეაგროვონ და ჩაბარონ ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს გმირი წითელი მებრძოლებისათვის თბილი ნივთები—ხელთათმანები, წინდები, ქურქები, თვთრეული და სხვ. მიტინგმა მხურვალე ტაშით უპასუხა ამ მოწოდებას.

წითელი არმიის გამარჯვებისათვის ყველაფერს გავაკეთებთ!

9 სექტემბერს, საერთო დასვენების დროს დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა სახელდახელო მიტინგი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. გონგაძეკ დამსწრეთ გააცნო ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა თაოსნობა გმირ წითელარმიელთათვის საჩუქრად თბილი ტანსაცმლის შეგროვებისა და გაგზავნის შესახებ.

პირველად სიტყვით გამოვიდა სტახანოველი ზეინკალი, ორდენოსანი შ. ომანიძე, რომელიც მიესალმა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა თაოსნობას. მან განაცხადა, რომ წითელ მებრძოლებს საჩუქრად გაუგზავნის თბილ ფიჯაკს, სვიტერსა და ხელთათმნებს.

სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლებს საჩუქრად უგზავნის 100 მანეთად ღირებულ თბილ ტანსაცმელს № 2 საამქროს სტახანოველი ამხ. გ. სიმონიშვილი. იგი პირობას იძლევა საწარმოო დავალება სისტემატურად 350-400 პროცენტით შეასრულოს და სახელმწიფოს მისცეს მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს და წითელარმიელთათვის საჩუქრად თბილი ტანსაცმლის გაგზავნის სურვილი გამოსთქვეს აგრეთვე № 1 საამქროს სტახანოველმა ს. ამირჯანოვმა, მედალოსანმა ხარატმა გ. ტერტეროვმა, გ. უსოვმა, № 2 საამქროს სტახანოველმა ნ. აპინინმა და სხვებმა.

მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „სახელოვან წითელ არმიელებს, რომლებიც მილიონ ადამიანთა სიცოცხლეს იცავენ, სიხარულით გავუგზავნით საჩუქრებს—თბილ ტანსაცმელს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პირისსახლიან ფაშისტთა ბანდა აღგვილ იქნას პირისაგან მიწისა“.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 სექტემბრის დილის ცნობა

8 სექტემბერს ღამით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებს მთელ ფრონტზე.

* * *

ოდესის მისადგომებთან მტერს დიდი ზარალი მოსდის. უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში რუმინელებმა 20 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ბრძოლის ველი რუმინელ ჯარისკაცთა გვამებით არის მოფენილი. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდნენ რუმინეთის გვარდიის დივიზია, რუმინეთის არმიის მე-11, მე-21 და 1-ლი სასაზღვრო დივიზიები.

მტრის წინააღმდეგ გმირულად იბრძვის შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის პირველი პოლკი. წითელფლოტელები დღეში რამდენჯერმე გადადიან იერიშზე და უდიდეს ზარალს აყენებენ მტერს. საზღვაო ქვეითი ჯარის პირველი პოლკის მებრძოლებმა მარტო 3 დღის განმავლობაში მოსპეს რუმინეთის ქვეითი ჯარის დაახლოებით ორი პოლკი, 4 ტანკი, მრავალი ავტომანქანა, ქვემეხი და ტყვიამფრქვევი. იმ ნადავლს შორის, რაც ხელთ ვიგდეთ რუმინელებთან ბრძოლაში, არის: 6 ტანკი, 18 ზარბაზანი, რამდენიმე ასეული ბაშხანა, დიდძალი ვაზნა, 8 ნაღმმტყორცნი, 20 ავტომატი, 17 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათასი ჭურვი და მრავალი ხელყუმბარა. წითელფლოტელებმა ტყვედ წამოიყვანეს 200-ზე მეტი რუმინელი ქვეითი ჯარისკაცი და მეფის კავალერიის ესკადრონი მეთაურითურთ.

* * *

წითელარმიელმა ამხ. ფილინმა გერმანელთა შენიღბული ქვემეხი აღმოაჩინა. უშიშარი მებრძოლი შეუმჩნევლად მიცოცდა მტრის ქვემეხთან და რამდენიმე ხელყუმბარით მოსპო იგი გუნდთან ერთად. აფეთქების ხმაზე ფაშისტთა ჯგუფმა მოირბინა. მათ ალყა შემოარტყეს მამაც წითელარმიელს და ცოცხლად უნდოდათ მისი ტყვედ ჩაგდება. როდესაც გერმანელებმა ამხ. ფილინთან ახლოს მოირბინეს, მან უკანასკნელი ხელყუმბარა სტყორცნა. გაისმა აფეთქების ხმა. რამდენიმე ფაშისტი ჯარისკაცი უსულოდ დაეცა. გმირი წითელარმიელი მამაცთა სიკვდილით დაიღუპა.

* * *

მეტყვიამფრქვევთა ასეული უმცროს პოლიტხელ კურენკოვის მეთაურობით რამდენიმე საათს იგერიებდა რიცხვობრივად უფრო ძლიერი მტრის შემოტევას. მამაცი მეტყვიამფრქვევები სანგრებთან ახლოს უშვებდნენ ფაშისტებს და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ანადგურებდნენ მათ. როდესაც მტრის ჯარის ნაწილმა იერიშები შესწყვიტა და უკან დაიხია, ბრძოლის ველზე ფაშისტ ჯარისკაცთა 200-ზე მეტი გვამი დარჩა.

* * *

გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში გამბედაობასა და მოსაზრებულობას იჩენენ წითელი არმიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. წითელარმიელთა ორი ათეული, რომლებსაც უმცროსი ლეიტენანტი ამხ. გრუნინი მეთაურობდა, თავის ნაწილებს მოსწყვიტა და ალყა შემოარტყა გერმანელთა ორმა ასეულმა. მებრძოლებმა სწრაფად გაიკეთეს სანგრები, ირგვლივ თავდაცვა მოაწყეს და შაშხანა და ტყვიამფრქვევი დაუშინეს ფაშისტებს. ოთხჯერ ალჭირილი მებრძოლი ამხ. პოპოვი შაშხანას ხელს არ უშვებდა და მტერს ანადგურებდა. წითელარმიელი მაკეევი სამჯერ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლას განაგრძობდა. მინდორი მოკლული და დაჭრილი გერმანელებით დაიფარა. წითელარმიელებმა მოსპეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და თავიანთი ნაწილისაკენ გაიკაფეს გზა.

მებრძოლთა და მეთაურთა მცირე ჯგუფმა მაიორ მიხაილოვის ნაწილის საკომანდო პუნქტზე მიტანილი მტრის სამი იერიში მოიგერია. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ათეულის მეთაურმა, ბაქოელმა მუშამ ამხ. გრებენიკოვმა, მან წინ წასწია თავისი ტყვიამფრქვევი და პირდაპირ დაუშინა ფაშისტებს. მტერმა უკან დაიხია და ბრძოლის ველზე დასტოვა 25 მოკლული და იარაღი.

მე-2 რანგის ტექნიკოსი-ინტენდანტი ამხ. რიაბოვი შტაბიდან თავის ნაწილში მიდიოდა. გზაში გლეხებისაგან გაიგო, რომ შორიახლოს ჩვენი პატარა ქვედანაყოფი ფაშისტთა მრავალრიცხოვან ჯგუფს ებრძვის. რიაბოვი მალულად შეეპარა მტრის ზურგში და შენიღბულმა სროლა აუტეხა გერმანელებს. პირველივე რამდენიმე გასროლით მან მოჰკლა მენაღმმტყორცნე და დახოცა ტყვიამფრქვევის გუნდის მთელი შემადგენლობა. ფაშისტებმა მამაცი მეთაური ტყვედ ჩაგდება სცადეს. ამხ. რიაბოვმა სროლა აუტეხა მოძალებულ ფაშისტებს და კიდევ 10 გერმანელი ჯარისკაცი მოსპო. ამ დროს ჩვენი ქვედანაყოფი იერიშზე გადავიდა და ადგილვა გერმანელები მათი პოზიციებიდან.

* * *

გერმანიის ფაშისტური ჯარების მიერ დაპყრობილ ბევრ რაიონში მდგომარეობის ბატონ-პატრონნი ფაქტიურად პარტიზანები არიან. ისინი არაქანს აცლიან გერმანელებს, მათთვის აუტანელ პირობებს ჰქმნიან. რაზმმა, რომელსაც ორდენოსანი ტრაქტორისტი ამხ. მ. მეთაურობს, ქალაქ პორხოვში გერმანელთა საომარი მასალებისა და საწვავი მასალის დიდი ბაზები მოსპო. ღამით პარტიზანთა პატარა ჯგუფმა ქალაქგარეთ ცეცხლი წაუკიდა თავის საწყობებს და სროლა ასტეხა. ქალაქში განგაში ატყდა. გერმანელი ჯარისკაცები ხანძრის ადგილისაკენ გაეშურნენ, საიდანაც სროლა მოისმოდა, მაგრამ ზვინებთან უკვე აღარავინ აღმოჩნდა. ამასობაში რაზმის მთავარი ძალები მეორე მხრიდან შევიდნენ პორხოვში და გაემართნენ საწყობებისაკენ, რომლებსაც გარშემოვლებული ჰქონდა ეკლიანი მავთული. გუშაგებს სხვადასხვა მხრიდან ხელყუმბარები დააყარეს. როდესაც გუშაგები მოსპეს, პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს საწვავ მასალას და ააფეთქეს საომარი მასალის საწყობები.

სტრუგო-კრასნენსკის რაიონში პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი ამხ. ვ. მეთაურობს, მოსპო გერმანელ ველოსიპედისტთა ჯგუფები და რადიოსადგური. რაზმმა იერიში მიიტანა ფაშისტ ჯარისკაცთა ოცეულზე, რომელიც რაიონულ ცენტრში მიდიოდა. ფაშისტებს 30-ზე მეტი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ამ ბრძოლაში პარტიზანებმა ხელთ იგდეს ავტომანქანა, 3 ტყვიამფრქვევი და 24 შაშხანა. სერედკინსკის რაიონში პარტიზანებმა დაიჭირეს 15 ფაშისტი მაროდერი, რომელთაც გლეხებისათვის წართმეული დოვლათი 3 ავტომანქანით მიჰქონდათ ზურგში. ხანმოკლე შეტაკების დროს მაროდერები მოსპობილ იქნენ.

* * *

თავგანწირულად მუშაობენ საბჭოთა მაღაროელნი, ამაგრებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითს ძლიერებას. შახტის რაიონის შახტ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ ამწმენდმა ამხ. ბონდარენკომ თავისი ათი თვის პროგრამა შეასრულა. ამ შახტის მებიგემ ამხ. მარიჩევმა თერთმეტი თვის ნორმა შეასრულა. ამხ. გორბუნკოვის ამწმენდმა ბრიგადა ცვლაში ყოველდღე 120-130 ტონა ქვანახშირს იძლევა, მაშინ, როდესაც ნორმაა 80 ტონა. ამწმენდნი ამხ. ტკაჩევი, იგლოვი, ანდრიასოვი, ტოროპოვი და ბონდარენკო 33-35 ტონა ქვანახშირს იძლევიან ნორმით გათვალისწინებული 19 ტონის ნაცვლად. გორლოვკის მაღაროელი ამხ. პარშუკი ყოველდღე 2-2½ დღიურ ნორმას ასრულებს. მებიგეებმა—ამხ. საფრონოვმა, ტისკოვიჩმა, კირეევმა და მალიარმა 5 დღეში შეასრულეს თვიური დავალება. სტალინოს ოლქის ორჯონიკიძის რაიონის ერთერთი შახტის მნგრეველმა ამხ. ბელიკოვმა 7½ თვეში ერთნახევარჯერ გადააჭარბა წლიურ ნორმას.

9 სექტემბრის საღამოს ცნობა

9 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

ჩვენს ავიაციას იერიშები მიჰქონდა მტრის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე და სპობდა ავიაციას მის აეროდრომებზე.

7 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში, საზენიტო არტილერიის ცეცხლით და მტრის აეროდრომებზე მოსპობილ იქნა გერმანიის 71 თვითმფრინავი. ჩვენ 24 თვითმფრინავი დაკარგეთ.

9 სექტემბერს დღისით, მოსკოვის მახლობლად ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 2 მზვერავი თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ჯარის ნაწილებმა ამხ. ჩიჟოვის მეთაურობით სწრაფი დარტყმით უკუაგდეს გერმანიის ჯარების ჯგუფი ფრონტის დასავლეთის მიმართულებით. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა სოფელ ჩაუსის განპირას. უფროს ლეიტენანტ გრეშინის სატანკო ასეულის დახმარებით წითელარმიელები შეიჭრნენ სოფელში და ფლანგიდან დასცხეს გერმანელებს. სოფლიდან განდევნილმა მტერმა დიდი ზარალით უკან დაიხია. ბრძოლების სამი დღის განმავლობაში პოლკოვნიკ ჩიჟოვის შენაერთმა მოსპო 2.500 ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წამოიყვანა 312 გერმანელი ჯარისკაცი. ჩვენი ნადავლია 11 ქვემეხი, 17 ნაღმმტყორცნი, 41 ტყვიამფრქვევი, 19 ავტომატი, 97 ავტომანქანა, 16 მოტოციკლი, 109 ველოსიპედი.

* * *

გამძაფრებულ ბრძოლაში ტანკის მეთაურმა ამხ. ჟურუკმა მარჯვე ცეცხლით მოსპო ფაშისტთა 3 ტანკი. ბრძოლის შემდეგ, როდესაც ამხ. ჟურუკს თავისი ტანკი შესაკრები პუნქტისაკენ მიჰყავდა, მასზე პიკირებით მიიტანა იერიში ფაშისტთა ყუმბარმშენმა. ამხ. ჟურუკმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოაგდო გერმანიის თვითმფრინავი. მტრის ყუმბარმშენს ცეცხლი გაუჩნდა და იგი ჭაობში ჩავარდა.

* * *

ჩრდილოეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარის ნაწილებმა, რომლებიც პინგოსალმთან მტერს სდევნიდნენ, ხელთ იგდეს 2 ტანკი, 6 ქვემეხი, 6 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობა და სხვადასხვა საჭიროველი. ამ ფრონტის მეორე უბანზე მოწინააღმდეგეს დავატოვებინეთ 54 დაზგის და ხელის ტყვიამფრქვევი, სხვადასხვა ყალიბის 8 ქვემეხი და მრავალი შაშხანა. ფრონტის დასავლეთის მიმართულებით ერთმა ჩვენმა სატანკო ნაწილმა მოსპო მოწინააღმდეგის დაახლოებით 2 ასეული, 17 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 10 ნაღმმტყორცნი. დაბა ყადეროსათვის წარმოებულ ბრძოლაში ჩვენმა ჯარის ნაწილმა გაანადგურა გერმანიის მე-451 ქვეითი პოლკის მოტოციკლისტთა ასეული.

* * *

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მომქმედი იმ ავიანაწილის ყუმბარმშენები, რომელსაც ამხ. იუკალოვი მეთაურობს, ღამით წარმატებით დაეხმნენ თავს გერმანიის ერთერთ აეროდრომს ზურგში. პირველი ეშელონის თვითმფრინავები კაპიტან შაბანოვის მეთაურობით მიზანთან ზუსტად დანიშნულ დროს მივიდნენ. ერთერთმა ყუმბარამ ცეცხლი გაუჩინა და ააფეთქა საბრძოლო მასალების საწყობი. ამ ეშელონის თვითმფრინავებიდან გადმოყრილმა ცეცხლწამკიდმა ყუმბარებმა გამოიწვიეს დიდი ხანძარი აეროდრომის ჩრდილოეთ ნაწილში. დანარჩენი ეშელონები ყუმბარებს აყრიდნენ მტრის თვითმფრინავებს, რომლებიც ტყის პირას იდგნენ და ხანძრის კაშკაშა სინათლეზე აშკარად მოსჩანდნენ. ჩვენმა თვითმფრინავებმა მოსპეს მტრის 15 მანქანა და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში.

* * *

გერმანიის ასობით ტანკი მოსპეს ჩვენმა ავიაციამ, არტილერიამ და ქვეითმა ჯარმა კიევის მისასვლელებთან წარმოებულ ბრძოლებში. ტანკების გამანადგურებლები ყოველდღე ცეცხლს უკიდებენ და აფეთქებენ ფაშისტთა მანქანებს. უმცროსმა ლეიტენანტმა შიკინმა, სერჟანტმა ნეიაგოვმა, წითელარმიელებმა დოლგუშევმა და რუბენცოვმა მარჯვედ ნასროლი საწვავიანი ბოთლებით ერთ ბრძოლაში მტრის 4 ტანკი მოსპეს. მას შემდეგ, რაც ფაშისტთა ერთერთი ტანკის ეკიპაჟი მოსპობილ იქნა, წითელარმიელებმა შესძლეს ცეცხლის ჩაქრობა ამ ტანკზე. ტანკი მოყვანილ იქნა ჩვენს ნაწილში.

* * *

მამაცი პარტიზანები ულმობელ ბრძოლას აწარმოებენ ჰიტლერელ ბანდიტებთან, რომლებმაც საბჭოთა ქალ

მთელი მსოფლიოს ქალებო, იბრძოლეთ ფაშიზმის წინააღმდეგ!

1941 წლის 7 სექტემბერს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გამართულ მიტინგზე

გამხეცებულ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ ფრონტზე მებრძოლთა დედები, ცოლები და დები, მთელ კულტურულ კაცობრიობაში სახელგანთქმული საბჭოთა ქალები, ფაბრიკების, ქარხნების, ტრანსპორტისა და დაწესებულებათა მუშაკი ქალები — ყველა ისინი მოვიდნენ აქ, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, რათა ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადონ უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი, რათა განაცხადონ, რომ მზად არიან იბრძოლონ ჰიტლერელ მოძალადეთა და მკვლელთა წინააღმდეგ, იბრძოლონ საბოლოო გაბარჯვებამდე.

მიტინგი გახსნა საბჭოთა კავშირის გმირმა ვალენტინა **გრიზოდუბოვამ.**

— ქალს მთელს ქვეყანაზე არა ჰყოლია,—ამბობს იგი,—არა ჰყავს და არც ეყოლება უფრო მძვინვარე და საძულველი მტერი, ვიდრე ფაშიზმია! ასევე, არცერთ ქვეყანაში ქალი ისე დამცირებული არ არის, როგორც გერმანიაში. თანათანობა ბატონობის დროს და ჰიტლერის შემოსვლის ხანაშიც კი ქალს არ განუცდია ისეთი აბუჩადაგდება და ისეთი წამება, როგორსაც იგი განიცდის ჰიტლერელ ავაზაკთა გამხეცებული ურდოსაგან. საბჭოთა კავშირის იმ რაიონებში, რომლებიც დროებით დაკავებულია გერმანელ ფაშისტთა ურდოების მიერ, ჰიტლერელი მოძალადენი ისეთ საზარელ ბოროტებას სჩადიან, რომ მათ გამო ადამიანს ძარღვებში სისხლი ეყინება, და გონებას ვერ დაუჯერებია, რომ ამას ჩაიდენდა მზეცი, რომელიც გარეგნულად მაინც ადამიანს მოგვაგონებს.

გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებულ დიადი წმინდა სამამულო ომის დღეებში ჩვენი ქვეყნის ქალებმა მთელს მსოფლიოს დაანახვეს, რომ მათი გული აღსავსეა მგზნებარე და კეთილშობილი სიყვარულით თავიანთი სამშობლოსადმი. ათასობით და ათიათასობით საბჭოთა პატრიოტი ქალები თავდადებით მუშაობენ დაზგებთან, მანქანებთან, მართავენ კომბაინებს, ტრაქტორებს, დაჰყავთ მატარებლები, ავტომანქანები, სცვლიან თავიანთ მამებს, ვაჟიშვილებს, ქმრებსა და ძმებს, რომლებიც ფრონტზე წავიდნენ თავიანთი სამშობლოს, თავიანთი ქალაქებისა და სოფლების, თავიანთი ოჯახებისა და კერების დასაცავად. ათასობით ქალები თავდადებით ეხმარებიან წითელ არმიას—მუშაობენ სამედიცინო დებად საველე ჰოსპიტლებში, ბრძოლის ველიდან გამოჰყავთ ჩვენი დაჭრილი მებრძოლები და მეთაურები, თავიანთ სისხლს სთმობენ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მეომართა სიცოცხლის გადასარჩენად.

საბჭოთა კავშირის ქალებო! კიდევ უფრო თავდადებით და ენერგიულად მოიხადეთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე! სადაც უნდა იყოთ — ბრძოლის ველზე თუ დაზგასთან, ტრაქტორის საჭესთან თუ საბრძოლო ვახტზე, თქვენს სახლთან, — გახსოვდეთ, რომ თქვენ იცავთ თქვენს სიცოცხლეს, თქვენს თავისუფლებას, თქვენს ღირსებას, თქვენ იცავთ თქვენს შვილებს.

ფაშისტ ბარბაროსთა მიერ დროებით დაკავებულ საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების ქალებო! შურისგება, შეუბრალებელი, წმინდა შურისგება—აი რას მოგიწოდებს თქვენ ნაწამები თქვენი დებისა და შვილების ხსოვნა! ძალებისა და თვით სიცოცხლის დაუზოგავად დაეხმარეთ პარტიზანულ რაზმებში წასულ თქვენს მამებს, ქმრებს, ვაჟიშვილებსა და ძმებს; აღაფრთოვანეთ ისინი ბრძოლისათვის გერმანელ ფაშისტ მხეცების წინააღმდეგ.

მოგმართავთ თქვენც, ჰიტლერის მიერ დამონებული ქვეყნების ქალებო! ჩვენო ძვირფასო დებო, ჩეხო, პოლონელო, ფრანგო, სერბიელო და ბერძენო ქალებო! იყავით ღირსნი თქვენი თავისუფლებისმოყვარული ხალხებისა. რითაც კი შეგიძლიათ, ყველაფრით ავნეთ თქვენს დამშონებლებსა და მოძალადეებს, შეუქმენით მათ აუტანელი პირობები არსებობისა, ელიტეთ ისინი!

მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, დიდბრიტანელო ქალებო, დიდი ინგლისელი ხალხის ღირსეულო შვილნო! ჩვენ თქვენთან ვართ დღეს ერთს მწყობრში. მაშ მეედგარნი ვიყოთ ამ წმინდა ბრძოლაში, ნურცერთი წუთით, ნურცერთი წამით ნუ დავისვენებთ მანამდე, სანამ წყეული მიხაილფერი მხეცი უსულოდ არ დაეცემა ჩვენი წითელი არმიისა და დიდი ბრიტანეთის სახელოვანი არმიის ფერხთა წინაშე.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალებო! ყოველივე თქვენზე დამოკიდებული გააკეთეთ, რათა ფაშისტთა ბანდების წინააღმდეგ მებრძოლთადმი თქვენი დახმარება დღითიდღე იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს, ვინაიდან აღმოსავლეთის ფრონტის ველებზე წყდება არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარული ხალხის ბედი, წყდება მთელი მსოფლიოს ბედი, მსოფლიო კულტურისა და პროგრესის ბედი.

ჩვენს ხალხს წილად ხვდა ისტორიული მისია—გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს გერმანელ ფაშისტ ბარბაროსებს. ჩვენთან არის მთელი მოწინავე, მოაზროვნე კაცობრიობა. ჩვენთან არის ყოველივე პროგრესიული და პატიოსანი, რაც კი ჩვენს პლანეტაზე მოიპოვება. წითელი არმია მუსრავს და ანადგურებს ჰიტლერელ მხეცებს, ბრძოლის ველები მოფენილია ცოფიან ფაშისტ ქოფაკთა გვამებით. მტერი სისხლისგან იცლება, უკანასკნელ ძალებს ძაბავს, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერია, საშინლად ვერაგი და მძვინვარეა. მოვსპოთ მტერი! ჩვენი ძალები დღითიდღე მატულობენ და მრავლდებიან, მტრის ძალები კი დნებიან და ილეგიან. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, მისი წინამძღოლობით ჩვენ გულადად წავალთ ბრძოლაში. **(მქუხარე ოვაცია).** ჩვენ ვძლევთ ყოველგვარ სიძნელესა და განსაცდელს, ჩვენ მოვსპობთ საზიზღარ მიხაკისფერ ქვეწარმავალს და დავუბრუნებთ მსოფლიოს მშვიდობიანი შრომის ბედნიერებას, უფლებას თავისუფლად ისუნთქოს, შეჰქმნას და აშენოს, წინ წასწიოს მეცნიერება, ტექნიკა და ხელოვნება!

ჩვენი საქმე სამართლიანი! მტერი დამარცხდება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

* * *

ტრიბუნაზეა ზინაიდა **ტროიცკაია,** სახელგანთქმული საბჭოთა მეამანქანე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოსკოვის ირგვლივი რკინიგზის უფროსი.

— ძვირფასო დებო! — იწყებს იგი თავის სიტყვას. — თქვენ მოგმართავთ მე, როგორც წევრი საბჭოთა კავშირის იმ რკინიგზელ ქალთა მრავალათასიანი კოლექტივისა, რომლებიც თავდადებული, გმირული შრომით ეხმარებიან მამაც და სახელოვან მეომრებს გამოსჭედონ გამარჯვება მტერზე. რაც შეიძლება მალე ჩავიტანოთ ფრონტზე ტანკები, მანქანები, ქვემეხები და საომარი მასალები, რათა შეუბრალებლად დავატეხოთ ისინი თავს პირსისხლიან ფაშისტ ურჩხულებს — აი ერთადერთი აზრი, ერთადერთი მისწრაფება, რომლებითაც ჩვენ ხელმძღვანელობთ.

რკინიგზელო ქალებო, რკინიგზელთა ცოლებო, დედებო და დებო! ერთსულოვნად დაირაზმეთ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. გმირმა წითელმა არმიამ გააკამტვერა ჰიტლერელთა ურდოების „უძლეველობის“ მითი. იგი ანადგურებს და აჩანაგებს მათ. საბჭოთა ხალხის ძალები უფროდაუფრო მატულობენ და მტაცდებიან, იგი უფრო და უფრო მედგარ წინააღმდეგობას უწევს ფაშისტთა ურდოებს.

დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების ინგლისისა და ამერიკის რკინიგზელო ქალებო! მეტი და მეტი დახმარება აღმოუჩინეთ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ არმიებს. დაე ქარზე უსწრაფესად წამოვიდნენ საბრძოლო მასალებით და ყოველივე იმით დატვირთული მატარებლები, რაც საჭიროა მტერზე გასამარჯვებლად.

მთელი მსოფლიოს ქალებო! ყველგან გააჩაღეთ ფართო აგიტაცია საბჭოთა კავშირისადმი სოლიდარობისა და ქმედი დახმარებისათვის, საბჭოთა კავშირისადმი, რომელიც გიგანტური ანტიჰიტლერული ფრონტის მოწინავე პოზიციებზე დგას.

ბრძოლაში, მეგობრებო, ამხანაგებო, დებო! ჩვენი სამართლიანი დიადი საერთო საქმისათვის!

* * *

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვალერია **ბარსოვას.**

— მე მოგმართავთ თქვენ, — ამბობს იგი, — ამათს დედებს, ცოლებსა და ქალიშვილებს, ვინც ამჟამად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა საზიზღარი ჰიტლერელების წინააღმდეგ! ფაშიზმი გრიგალივით დაჰქროლავს მსოფლიოს, ნგრევასა და დაღუპვას უქადის თავისუფლების მოყვარულ ხალხებს. მტერს მიზნად დაუსახავს მოშალოს ჩვენი ცხოვრება, ჩვენი მშვიდობიანი შრომა, კულტურა, წაგვართვას თავისუფლება. მან მოისურვა, რომ მისთვის ბიბინებდეს ჩვენი ყანის ჯეჯილი, რომ მისთვის მუშაობდეს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები. ეს არ იქნება!

თქვენ, ხელოვნების მუშაკ ქალებო, მოგმართავთ მხურვალე მოწოდებით მთელი თქვენი შემოქმედებითი ძალები მოახმაროთ ფაშიზმთან ბრძოლას. მგზნებარე სიტყვითა და სამღერით აღფრთოვანეთ ის ადამიანები, რომლებიც კაცობრიობისა და კულტურის მოსასხლეტ მტერს ებრძვიან!

მთელი მსოფლიოს ქალებო! ქარხანაში, ყანაში, სცენაზე, ლაბორატორიაში, თვითმფრინავზე, ჰოსპიტალში ჩვენი შრომის ყველა საშუალებით, ბრძოლის ველზე შაშხანით დავეხმაროთ ჩაინს ძმებს — მებრძოლებს!

* * *

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მოისმინეს ფრონტიდან, მოქმედი წითელი არმიიდან ჩამოსული სამედიცინო დის **სოკოლოვსკაიას** სიტყვა.

საბჭოთა პატრიოტი ქალის წარმტაც, კეთილშობილურ სახეს გვიხატავენ მისი სიტყვები:

— ჩვენ, ქალები დავეხმარებით ჩვენს ქმრებს, ძმებსა და მამებს გაანადგურონ ჰიტლერელთა პირსისხლიანი ხროვა. მე დავტოვე ჩემი საყვარელი შვილი და ჩემი დედა და მოხალისედ წავედი ფრონტზე.

ქალებო! უნდა გაცნობოთ ის, რაც ჩემი თვალით ვნახე: ფაშისტი ბარბაროსები ფეხქვეშ სთელავენ საერთაშორისო სამართალს და სროლას უტეხენ სანიტარულ თვითმფრინავებს, ყუმბარებს უშენენ დაჭრილთა ეშელონებს, ლტოლვილთა, მოხუცთა, ბავშვთა და ქალთა ეშელონებს. ჩემს თვალწინ ფაშისტმა სვავმა ტყვიამფრქვევით მოჰკლა ქალი და ბავშვი. ჭე ვნახე მძიმედ დაჭრილი 12 წლის ბავშვი კოლია, ვნახე მკერდგაფატრული 13 წლის გოგონა ლენა. არავითარი სასჯელი არ იქნება საკმარისი, რომ მტერს ამ ბოროტმოქმედებისათვის სამაგიერო მიუზღოთ!

ფაშიზმი, რომელსაც მთელი კაცობრიობისათვის გაველურება და მონობა მოაქვს, მოსპობილ უნდა იქნას. ჩვენ, ექიმებს, სამედიცინო დებს, სანიტარ ქალებს, ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. ეხანაგო ქალებო! ფრონტს ჩვენი დახმარება ესაჭიროება.

გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ დაპყრობილი ქვეყნების ქალებო! ჩვენ გვესმის თქვენი ბავშვების, ფაშისტების მიერ გაუპატიურებული თქვენი ქალიშვილების კვნესა. როცა ბავშვის კვნესა გესმის, აღარ ფიქრობ საფრთხეზე, არამედ ერთ რამეზე ფიქრობ: შური იძიო ამ კვნესისათვის და რაც შეიძლება მალე შემუსრო კაციჭამია ფაშისტები!

სიკვდილი ფაშიზმს! ხელი შევუწყოთ გამარჯვების ჟამის მოახლოებას. ჩვენი ბავშვები მოელიან ამ სასიხარულო ჟამს.

* * *

მწერალი ანა **კარავაევა** თავის სიტყვას მთელი მსოფლიოს ქალებისადმი მიმართავს.

— ჩვენ გვწყდეს უზარმაზარი სივრცეები, — ამბობს იგი, — გვყოფს მთები და ზღვები, მაგრამ ჩვენ ერთიმეორისათვის მახლობელნი ვართ იმიტომ, რომ ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვაკავშირებს: ბრძოლა ფაშიზმთან. მაგრამ, ძვირფასნო, ინგლისელო, ამერიკელო და სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების ქალებო, გრძნობისა და აზრის ერთიანობა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ძალას, როცა იგი მოქმედებად იქცევა.

ჩვენ, ქალები, კაცობრიობის ნახევარს შევადგენთ, ჩვენ დიდ ძალას წარმოვადგენთ! უფრო მჭიდროდ გავერთიანდეთ, ძვირფასო საზღვარგარეთელო დებო, ერთსულოვნად და სწრაფად ვიმოქმედოთ და ამით დავიჩქაროთ ფაშიზმის პირსისხლიანი ურდოების განადგურება!

* * *

სიტყვა ეძლევა „მეტროსტროის“ ინჟინერს ტატიანა **ფედოროვას.**

— ჰიტლერის რეჟიმმა შიმშილი და ამოწყვეტა არგუნა ხვედრად პოლონეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, დანიის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ბავშვებს. ჰიტლერმა ბავშვს წაართვა ბავშვობა, დედებს — დედობა, მოხუცებს — დამსახურებული დასვენება. ახლა ჰიტლერი თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, საბჭოების ქვეყანას, სადაც ბავშვობა მშვენიერია, დედობა ბედნიერია და ქალი თავისუფალია.

მაგრამ ვერ წაგვართმევს ჰიტლერი ჩვენს თავისუფლებასა და სიხარულს!

ინგლისელო ქალებო! შეჰქმენით პირსისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ურყევი ფრონტი, მოახმარეთ მთელი თქვენი ძალები ქვეყნის საშუალებათა უსწრაფეს მობილიზაციას ფაშიზმზე გამარჯვების დასაჩქარებლად.

ამერიკელო ქალებო! გააძლიერეთ თქვენი დახმარება ინგლისისა და სსრ კავშირისადმი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოკუპირებული ქვეყნების ქალებო! დაეხმარეთ თქვენს ქმრებსა და ძმებს პარტიზანულ ბრძოლაში. შეჰქმენით თქვენს ტერიტორიაზე ფაშისტი ბანდიტებისათვის აუტანელი პირობები. არცერთი ეზური, არცერთი ზარბაზანი, არცერთი თვითმფრინავი ფაშისტი მხეცებისათვის. სიკვდილი კაციჭამია ჰიტლერს და მკვლელთა მის ბანდას!

* * *

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის ქარხნის სტახანოველი მუშა ქალი **კუზნეცოვა.**

— აი მე, სტალინის სახელობის ავტოქარხნის მელითონე მუშა: 25 წელია ჩარხზე ვმუშაობ. რამდენი შრომა მოვანდომეთ მე და ჩვენ ყველამ, რომ სასიხარულო, ნათელი ცხოვრება შეგვექმნა!

განა შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ცხოვრება თუნდაც დროებით ძესწყდეს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები ფაშისტთა ხროვის მონები გახდნენ?

განა შეიძლება დავუშვათ, რომ მოწინავე, კულტურული, თავისუფლებისმოყვარული ქვეყნების — საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ადამიანები, ქალები ფაშისტ ბარბაროსთა ფეხქვეშ იმყოთობოდნენ!

არა, ეს არასოდეს არ იქნება!

ძვირფასო დებო, ინგლისელო, ამერიკელო, პოლონელო, ჩეხოსლოვაკელო, ფრანგო ქალებო, ყველა თავისუფლებისმოყვარული ქვეყნების ქალებო! მოგიწოდებთ თქვენ, ულმობელნი იყავით მტრისადმი! უთხარით თქვენს ქმრებს, ძმებსა და შვილებს, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ უფრო ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრებისაკენ ვიაროთ, თუ ფაშისტ ქვეწარმავლებს მოვსპობთ და გავსრესთ.

ჩემს დედობრივ სალამს ვუთვლი ყველა არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ კაცობრიობის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის.

* * *

შემდეგ გამოდის საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი კლავდია **ნიკოლაევა.**

— ამხანაგო ქალებო! სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ აწარმოებს, არის ომი ჰიტლერიზმის უღლისაგან მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ომი ადვილი საქმე როდია. მაგრამ განა შეიძლება დამშვიდებული იყოს დედის გული, როდესაც აღვირახსნილი და გალეშილი ფაშისტი ბანდიტები ხვრეტენ უსუსურ ბავშვებს, აუპატიურებენ ქალიშვილებს, ხოცავენ მოხუცებს, იტაცებენ ქონებას, ბელორუსიის მარტო ერთერთ ქალაქში 300-ზე მეტი ქალიშვილი შეჰყარეს საროსკიპოებში, სადაც ფაშისტი ბანდიტები, ოფიცრები და ჯარისკაცები აუპატიურებენ და ხოცავენ მათ. მოიცარიშვილებმა ლვოვის № 1 სამკერვალო ფაბრიკის 30 სტახანოველი აქტივისტი ქალი მათსავე ბინებში ღამით დახოცეს.

ფაშისტ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს არ მოეპოვებათ არც პატიოსნება, არც ზნეობა. ესენი არიან კაცის სახით მოვლენილი მხეცები, ეს არმია კი არ არის, არამედ ბანდიტთა და ჯალათთა ხროვაა, რომელსაც მეთაურობს ობერ-ბანდიტი, სისხლისღვრის ოსტატი—ჰიტლერი.

ფაშიზმი მთელი პროგრესიული კაცობრიობის უბოროტესი მტერია. ქალებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ, თუ აქტიურად იბრძოლებენ ფაშიზმის წინააღმდეგ. ვინც საბჭოთა ხალხს ეხმარება მის ომში ფაშიზმის წინააღმდეგ, იგი უწინარეს ყოვლისა ეხმარება თავის თავს, თავის სამშობლოს, იგი იცავს თავისი ხალხის ღირსებასა და დამოუკიდებლობას, იგი იბრძვის კულტურისათვის, ცივილიზაციისათვის, ქალების — დედებისა და ქალიშვილების პატიოსნებისათვის, თავისი შვილების ბედნიერებისათვის.

* * *

მიკროფონთან არის საბჭოთა კავშირის გმირი მარინე **რასკოვა.**

— საბჭოთა ქალი, — ამბობს იგი,—ეს არის მილიონობით თავდადებული მშრომელი, რომლებიც დღედაღამ საკომეურნეო მინდვრებზე, ფაბრიკებში, ქარხნებში გვიჩვენებენ შრომითი გმირობის სასწაულებს მტერზე გამარჯვების დასაჩქარებლად.

საბჭოთა ქალი — ეს არის ალეულათასობით ავტომობილისტი, ტრაქტორისტი, მფრინავი, რომლებიც მზად არიან ყოველ წუთს დასხდნენ საბრძოლო მანქანებზე და ჩაებან ბრძოლაში სისხლმოწყურებული მტრის წინააღმდეგ.

საბჭოთა ქალი — ეს არის ასეულათასობით ექიმი, ფერშალი, სანიტარმელი, პარტიზანი, რომლებიც ბრძოლის ველზე სიმტკიცისა და გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ, რომლებიც გვერდში უდგანან თავიანთ ძმებსა და ქმრებს და ულმობლად ანადგურებენ საზიზღარ აგრესორს.

საბჭოთა ქალი მილიონობით უკვდავი გმირების დედაა. მან დედის რძესთან ერთად ჩაუნერგა ოავის შვილებს თავისუფლებისმოყვარულობა და სამშობლოს ერთგულება. საბჭოთა ქალი თავის ერთადერთ შვილს ან ქმარსა და ბავშვების მამას შემდეგი დავალებით აცილებს ფრონტზე: „იბრძოლე გაბედულად, შენი სიცოცხლის დაუზოგავად და შემუნრე მტერი სრულ გამარჯვებამდე“.

* * *

სიტყვა ეძლევა ცნობილ რუმინელ საზოგადო მოღვაწეს ანა **პაუკერს.**

— საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხალხების მტერი ჰიტლერიზმი,—მიმართავს იგი რუმინელ ქალებს,—თქვენი მტერიცაა.

ჰიტლერის გერმახია თქვენს შვილებს, ქმრებსა და ძმებს სასაკლაოზე მიერეკება! მარტო ოდესის მისასვლელებთან უკვე 20 ათასზე მეტი რუმინელი დაიხოცა. ომის განმავლობაში უკვე რამდენიმე ასი ათასი რუმინელი ოჯახი დარჩა უმარჩენლოდ. რუმინეთის ქალაქებსა და სოფლებში დედების, ქვრივებისა და ობლების ტირილი ისმის.

ნუ სტირით ჩუმად, რუმინელო ქალებო! აღსდექით საბრძოლველად იმათ წინააღმდეგ, ვინც თქვენს ქმრებს, შვილებსა და საქმროებს სასიკვდილოდ გზავნის.

რუმინელო დებო! თქვენ მარტონი არა ხართ. ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად ფეხზე დგებიან გერმანიის ფაშიზმის მიერ ოკუპირებული ყველა ქვეყნის ქალები. წითელი არმია უდიდეს ზარალს აყენებს ჩვენს საერთო მტერს. მას ურტყამენ მამაცი საბჭოთა პარტიზანები ზურგიდან. პარტიზანული მოძრაობა იზრდება იუგოსლავიის მთებში, ნორვეგიის ხეობებში, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტყეებში. ქალები ყოველი საშუალებით უნდა დაგვეხმარონ ამ წმინდა ბრძოლაში.

მძვინვარე, დანაშაულებრივი ჰიტლერიზმი აღგვილ იქნება პირისაგან მიწისა.

* * *

— თავისი დაუძინებელი, მოსისხლე მტრის წინააღმდეგ მრისხანე გულისწყრომით აღსავსენი აღმარხენენ ერთიან შეურყეველ ძალად ზურგი, ფრონტი, არმია და ხალხი,— აცხადებს მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **პოპოვა.**

საბრძოლო განგაშის სააათებში საზიზღარ ფაშისტ თავდამსხმელებს ტრყევი საპაერო თავდაცვა, ამაყი და დიადი მოსკოვი ხვდებოდა. მის შეურყეველ სიმაგრეზე ქარწყლდებოდა მტრის ყველა ბოროტი ხრიკი. 100-ზე მეტი ფაშისტური სვავი, რკინისჯვრებიანი ასობით ფაშისტი მფრინავი დაიღუპა ჩვენი სახელოვანი ქალაქის კარიბჭეებთან.

დაე ახსოვდეთ ფაშისტ ბარბაროსებს, დაე იცოდნენ ჰიტლერელმა ბანდიტებმა, რომ ჩვენ შურს ვიძიებთ ყოველი სიცოცხლისათვის, ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლისათვის, ყოველი ნგრევისათვის.

მთელი მსოფლიოს ქალებო! ისტორიამ ჩვენ პასუხსაგები და კეთილშობილური ამოცანა დაგვაკისრა. დადგა ჟამი, როცა ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ პირსისსლიანი ფაშიზმის სრული მოსპობისათვის.

* * *

გერმანიის და მთელი მსოფლიოს ქალებისადმი არის მიმართული გერმანელი მწერლის მარტა **არენდზეეს** სიტყვა:

— ორი წელია, რაც მძვინვარებს ჰიტლერის სასტიკი ომი ევროპის ხალხების წინააღმდეგ. დახოცილ მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა გვამების გორები, მილიონობით დასახიჩრებული ადამიანები, განწირული ცოლების, დედების, მოტირალი ბავშვების ზღვა ცრემლი მთელს ევროპაში. ყველგან ნგრევა მშვიდობიანი ჩალხებისა და განადგურება აყვავებული მინდვრებისა. აი რა არის ჰიტლერის საშინელი დანაშაული, რაც მან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაიდინა!

ჰიტლერის ომმა საშინელი შიმშილი მოუტანა ევროპის ხალხებს. ოკუპირებული ქვეყნების გაძარცვამ, მათი ნოყიერი მიწების განადგურებამ ეს ქვეყნები აუწერელ სიღატაკეში ჩააგდო. გერმანიაში სასურსათო რაციონები სულ უფროდაუფრო მცირდება. ცოლები თავიანთ ქმრებს სწერენ ფრონტზე—ისე სუსტად ვგრძნობთ თავს, რომ მუშაობის შემდეგ მკვდარივით დავეგდებით საწოლში და წერილის მოწერის უნარიც კი არა გვაქვსო.

8 წლის განმავლობაში გერმანელი ქალების ტვინს აბრუებდნენ სიცრუითა და მოტყუებით, მაგრამ მათი შეგნება თანდათან იღვიძებს. ბერლინში ბევრი ქალი შეეცადა ხელი შეეშალა თავიანთი ქმრების წასვლისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე. პროტესტების შემდეგ ქალები უკვე მონაწილეობას იღებენ გაფიცვებში. გერმანელი ქალები თანდათან ამტკიცებენ და დაამტკიცებენ, რომ ისინი უსიტყვოდ როდი მოითმენენ ჰიტლერის საშინელ დანაშაულთ! არის ერთადერთი გამოსავალი, რომ ომს ბოლო მოეღოს—ეს გამოსავალია ჰიტლერის დამხობა!

* * *

უკანასკნელი გამოდის ესპანეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე დოლორეს **იბარური:**

— დედებს ყველაზე უფრო სძულთ ომი, რადგან ომში იღუპებიან მათი შვილები. მაგრამ დედებს სურთ, რომ მათი შვილები იყვნენ არა მონები, არამედ თავისუფალი, ბედნიერი ადამიანები! ამიტომ დედები მთელი სულითა და გულით მხარს უჭერენ სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს.

ისინი არა მარტო იარაღს აძლევენ ხელში თავიანთ ვაჟიშვილებს და აღაფრთოვანებენ მათ ბრძოლისათვის და მსხვერპლისათვის, არამედ თვითონაც იღებენ აქტიურ მონაწილეობას ამ დიადს, სამართლიან საქმეში.

ინგლისელი ქალები სიამაყით მონაწილეობენ არმიის მაშველ კორპუსებში; მუშაობენ სამხედრო ქარხნებში; მტკიცედ იტანენ ომით გამოწვეულ მსხვერპლს. საბჭოთა ქალები, რომლებსაც შეგნებული აქვთ საშინელი საფრთხე, მათ სამშობლოს რომ თავს დასტრიალებს, გმირობისა და თავგანწირვის სახელოვან ფურცლებს სწერენ დიადი სამამულო ომის ისტორიაში.

ამ ჩვენ დების გმირობისა და მეცადინეობის პასუხად, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხალხების მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლის პასუხად, მათ განუსაზღვრელი დახმარება უნდა გაეწიოს დედამიწის ყველა ხალხთა მხრივ, ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიოს და სოლიდარობა გამოეცხადოს დიდი ამერიკის კონტინენტის ქალთა მხრივ.

* * *

მიტინგმა არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით ჩაიარა. დარბაზში ხშირად გაისმოდა მისალმებათა შეძახილები სახელოვანი წითელი არმიის, საბჭოთა მთავრობისა და ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, სახელოვანი საბჭოთა პატრიოტების პატივსაცემად, ხალხთა ერთიანი ანტიჰიტლერული ფრონტის ყველა თავდადებულ მებრძოლთა პატივსაცემად.

მიტინგზე წაკითხულ იქნა მისალმებანი ამერიკის შეერთებული შტატების ქალებისა და ინგლისელი და შვედი ქალებისაგან. მიტინგის მონაწილენი ამ მისალმებებს შეეგებნენ მქუხარე ტაშით, მხურვალედ მიესალმნენ მთელი იმ მოწინავე კაცობრიობის სოლიდარობისა და ერთობის ამ ახალ გამოხატულებას, რომელიც ბრძოლას ეწევა ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ.

დასასრულ მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო მიმართვა მთელი მსოფლიოს ქალებისადმი (საკდესი).

ჰიტლერს კატასტროფისაკენ მიუყვანს ბერლინის ბ

ციურიხი, 2 სექტემბერი (საკდესი). შსხვილი შვეიცარელი მრეწველი, რომელიც ბერლინიდან ციურიხში დაბრუნდა, გადმოგვცემს:

გერმანიის სამრეწველო წრეებში ნაღვლიანი განწყობილებაა. სსრ კავშირზე გამარჯვება არავის სჯერა. ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, განიხილება როგორც ვერმანიის დამარცხება. მოკლულთა და დაჭრილთა კოლოსალური რაოდენობა, სიკვდილიანობა დაჭრილთა შორის (რომელიც სამედიცინო პერსონალისა და მედიკამენტების ნაკლებობის გამო 60 პროცენტს აღწევს), გერმანიის ქალაქების განუწყვეტელი ბომბარდირება ინგლისისა და საბჭოთა ავიაციის მიერ — ყველაფერი ეს მეტად დამაღონებლად მოქმედებს ხალხზე. ყველგან გაისმის: „როდის გათავდება ყოველივე ეს? კიდევ უფრო უარესი არ მოხდეს, ვიდრე 1918 წელს“.

რწმენის უქონლობა, შიში და პესიმიზმი ყოველდღიურად იზრდება. იზრდება სიძულვილი ჰიტლერისადმი და იმის გაგება, რომ მას გერმანია კატასტროფისაკენ მიჰყავს.

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა

ყველა ქვეყნებში ფართოდდება საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა. სტოლიად-ინდოეთის გლეხთა კავშირი 5 სექტემბრიდან მთელს ინდოეთში ატარებს „სსრ კავშირის კვირეულს“, რათა გამოჰხატოს სიმპატია საბჭოთა ხალხისადმი და გმირული წითელი არმიისადმი, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვის, გადაწყვეტილია აგრეთვე, რომ შეუდგნენ თანხის შეგროვებას სსრ კავშირისათვის დახმარების ფონდში შესატანად.

მექსიკის ჩიხუახუას შტატის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ყრილობაზე, რაც ამას წინათ შესდგა, მიღებული იქნა მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, რომლებიც გმირულად იბრძვიან ადამიანის თავისუფლებისათვის.

მექსიკოს შტატში შესდგა რამდენიმე ეროვნის მოჯადაგირეთა მიტინგი, რომლის შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა მოაწყეს თანხის შეგროვება წითელი არმიისათვის საჩუქრების გასაგზავნად.

7 სექტემბერს წითელი ჯვრის სახელზე ბევრი საჩუქარი გაგზავნეს არგენტინის სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

8 სექტემბერი (საკდესი).

ინგლისური პრესის გამოხმაურება მოსკოვი გამართულ ქალთა ანტიფაშისტურ მიტინგზე

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). ინგლისური დიდრონი გაზეთების უმეტესობა თვალსაჩინო ადგილას ათავსებს მოსკოვში გამართული ქალთა ანტიფაშისტური მიტინგის ანგარიშს. გაზეთებს „დეილი ექსპრესს“ და „დეილი ჰერალდს“ თავიანთს ანგარიშში მოჰყავთ გრიზოდუბოვას, სოკოლოვსკაიას, ფედოროცას, კარავაევას, დოლორეს იბარურისა და ტროიცკაიას სიტყვების ნაწყვეტები და ბეჭდავენ 38 ინგლისელი ქალის პასუხს. გაზეთები „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ და „დეილი მეილი“ თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ მიტინგის ანგარიშს.

ინგლისის სამხედრო ქარხნების მუშათა მისალმება სსრ კავშირის მუშებისადმი

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის სამხედრო ქარხნების